№ 60
შაბათი, 18 მარტი 1895

1877—1895

# ივერია

№ 60
შაბათი, 18 მარტი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს საყოველთაო საცნობელად, რომ შაბათს, 18 მარტს 1895 წლისას, **ტფილისის ქალაქის მოურავის**

**პავლე ალექსანდრეს ძის იზმაილოვის**

გვამის დაკრძალვისა გამო ქალაქის გამგეობა და ქალაქის მმართველობის ქვემდებარე დაწესებულებანი დაკეტილი იქნება.

(2—6.—2)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** და **კომისსია, რომელსაც მინდობილი აქვს განსვენებულის ქალაქის მოურავის პავლე ალექსანდრეს ძის იზმაილოვის ხსენების პატივის ცემა**, ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ

**პავლე ალექ ანდრეს ძის იზმაილოვის**

გვამის დაკრძალვა დანიშნულია ამა მარტის 18 ს, შაბათს, მიცვალებულის ნაშთი წამოსვენებულ იქმნება ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურიდგან დილის 10 საათზედ ვანქის ტაძარში, ხოლო დაკრძალულ იქმნება ამა ტაძრის გალავანში.

(2 —6. — 2)

## „ივერია“

გამოვა 1895 წელსაც
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**გამგეობა ტფილისის საურთიერთო სასოფლო მეურნეობის კრედიტის საზოგადოებისა** ამით აცხადებს, რომ 25-ს ამა მდგომარე მარტიდამ მიიღებს არზებს მათგან, ვინც მოისურვებს კრედიტი იქონიოს ხსენებულ საკრედიტო დაწესებულებისაგან და წევრად ჩაეწეროს. წევრად შესაძლოა ჩაეწერონ და კრედიტი იქონიონ ყველამ, წოდებისა და სქესის განურჩევლად, სოფლელს და ქალაქელსა. რა გვარად და რა სახით უნდა დაწერილ იქმნას არზა, ამისათვის საჭიროა მიჰმართონ თვით გამგეობას, რომელიც დროებით მოთავსებულია ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, და ყველა საჭირო ცნობას იქ მიიღებენ.

# ახალი ამბავი

—

*** დღეს, დილის 7 საათზედ, საგანგებო მატარებლით ტფილისიდგან გაემგზავრებიან მცხეთას: ქალაქის მმართველობა, ხმოსნები და მსურველნი, რათა მიეგებონ მცხეთას პ. ა. იზმაილოვის ნაშთსა, რომელსაც დღესვე მოასვენებენ და დაკრძალვენ.

*** 16 მარტს რამდენიმე ათასი კაცი და ქალი გაემგზავრა რკინის-გზით მცხეთისკენ, სადაც განსვენებულის თ. ივანე ბაგრატიონ-მუხრანბატონის გვამი უნდა დაეკრძალათ. თითქმის შუადღის ორ საათამდე გაწევრძო წირვა და ანდერძის აგება. გვამი განსვენებულისა მისის მეუღლის სამარის გვერდით დაასაფლავეს, შიგ ეკლესიაშივე. კუბო რომ ჩაასვენეს საფლავში დამსწრეთა შორის ზოგიერთმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა, მაგ. ქუთაისის მაზრის მარშალმა თავ. ნიჟარაძემ, თ. გრ. აბაშიძემ, სამღვდელოებამ და სხვ.

მიცვალებულის პატივსაცემად, სხვათაშორის, დაესწრნენ მთავარ-მართებლის მეუღლე ქნი შერემეტევისა, ტფილისის გუბერნატორი შარვაშიძე, ქალაქის წარმომადგენელნი და ზოგიერთ დაწესებულებათა დეპუტატები.

წირვის შემდეგ სადილი იყო გამართული ხუთი-ათასის კაცისათვის.

*** ამ ბოლო დროს ტფილისში ძალიან გახშირდა ინლუენცათი ავადმყოფობა. ზოგი-ერთს ოჯახში თითქმის ყველანი ავად არიან.

*** როგორც რუსული გაზ. „ნოვოე ვრემია“ ამბობს, მოწაფეების რკინის-გზით გადასვლ-გადმოსვლაზედ ფასების მომატება ისევ გაუქმებული იქნება, რადგანაც რკინის გზის წარმომადგენელთა კრებაზედ წარადგინეს აზრი, ისევ დაუკლონ ფასი მოსწავლეებს. ზემოხსენებულის გაზეთის სიტყვით ეს კითხვა აღდგომამდის გადასწყდება უთუოდ. ფასები იქნება დაკლებული მესამე კლასით მოგზაურთათვის და მხოლოდ მაშინ, როდესაც მთავრობის მოწმობას წარუდგენენ ბილეთის აღების დროს.

*** ცაგერი: აქ მაზრის სამმართველო, სამსაჯულო და სხვა დაწესებულებანი არსებობენ; ყოველ დღე დიდძალი ხალხი შემოდის სხვა-და სხვა სოფლებიდგან და აგრეთვე სხვა-და-სხვა მაზრებიდგან, მაგრამ საუბედუროდ, თუ ნაცნობი არა ჰყავს, უთუოდ გარედ უნდა დარჩეს, რადგანაც ორიოდ სამიკიტნოს მეტი არა მოიძებნება-რა აქ.

მიუხედავად ამისა ძვირობა ყოვლად დიდია, მაგალითად: ოყა პური, რომელიც ქ. ქუთაისში 7 კ. ისყიდება, ცაგერში 15 კ. ღირს. ხორცეულობა ოყა 25 კ. ექვს (30კ.) შაურამდეა, ძროხისა 25 კ., ხბოსი, ცხვრისა და სხ. საკლავისა 30 კ., და ღორისა გირვანქა 20 კ., ღვინო ბოთლი 20 კ.

ძვირობა კიდევ არაფერი, მაგრამ ისიც ხშირად ა ხდება, რომ მთლად რომ შემოიაროთ სამიკიტნოები, გასასყიდს პურს ვერ იშოვით, თუნდ სამი იმდენი ფასი მისცეთ, რაც ღირს.

სასიამოვნო იქნება ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

## კორესპონდენცია.

—

**ფოთი,** 15 მარტი. წუხელი ჩვენმა საბჭომ მოისმინა თ. დიმიტრი დადიანის განცხადება—გამგეობის წევრობასა და ქალაქის მოურავის მოადგილობას თავი უნდა დავანებო ჩემგან დამოუკიდებელის მიზეზის გამო, რადგანაც საგუბერნიო გლეხთა სასამართლომ მოშალა საბჭოს დადგინება, რომლითაც მე ორი ათასი მანეთი დამენიშნა ჯამაგირათო და მის მაგიერ ათას ორასი მანეთი დამიტოვაო. აქედგან ვხედავ, რომ გაცლა სჯობსო. ყველასთვის დიდად სამწუხარო შეიქნა ეს ამბავი. აქ ჯერ არ მოსულა გლეხთა სასამართლოს გარდაწყვეტილება და არავინ იცის რა საფუძველზეა ის დამყარებული. ზოგიერთს ხმოსანს უნდოდა საქმე გადადებულიყო სამერმისოდ. მაგრამ იმ გაჭირვებულს მდგომარეობაში, რომელშიაც აგერ თითქმის სამის წლის განმავლობაში უპატრონოდ იმყოფება ჩვენი ქალაქი, ეხლანდელი გარემოება მოითხოვს, რაც შეიძლება მალე აგვერჩია გამგეობის წევრები: ძველებს საბჭო არ ჰსურს და კიდეც რომ ენდოს, ძველები გულ-აყრილნი არიან საბჭოსა და ქალაქის საქმეებისთვის. არც მუშაობენ, არც ეკარებიან ქალაქს, რომელშიაც თითქმის მარტო ჯამაგირის აღების დროს თუ მოვლენ, ისე არა. ყველა ქალაქის საქმე გაჩერებულია, ანგარიში არეულ-დარეულია, ქალაქის მამულებს ხან ვინ ეპატრონება და ხან ვინ, ქალაქის ტყეს ოხრად სჩეხენ და სხვ. და სხვ. თითქოს განგებ გვტოვებენ ამ უპატრონო მდგომარეობაში. ავარჩიეთ გამგეობის წევრებად თ. დადიანი, გუგუშვილი და ხოშტარია; უკანასკნელების არჩევანი დაარღვიეს, და პირველის ჯამაგირი შეამცირეს. 2-ს დეკემბერს საბჭოსაგან დამტკიცებული შემოსავალ-გასავლის ხარჯი დღემდისაც არ არის განხილული და დამტკიცებული გუბერნატორისაგან!!!

საბჭომ კენჭის ყრა გარდასწყვიტა, თუმც ბევრი ცდილობდა-მეთქი გადაედვათ საქმე. ბევრი ვეცადეთ კანდიდატი გვეშოვნა, უცნობის, სხვა ქალაქიდგან ხმოსნების უმრავლესობამ სახელის მოსმენაც არ ისურვა. უცნობი და გამოუცდელი რეკამენდაციით ავირჩიეთო: ვინც ავიყვანეთ მაგრე თვალ-დახუჭვილად, მოგეხსენებათ, რა მწარედ შევცდითო. არ შეიძლება ისეთი კაცი ავირჩიოთ, ვისაც არ ვიცნობთო.

შემდეგ აარჩიეს დიდის ხმის უმრავლესობით (24 თეთრი, 4 შავი) თეოფანე ლეხნიცკი, აქაური საზღვაოსნო სკოლის ინსპექტორი, დიდად პატიოსანი და განვითარებული კაცი. ლეხნიცკის მეტოქე არავინ ჰყოლია, მარტო მისი ყუთი იდგა. საუბედუროდ, მაგას თავისი საქმე აქვს და ქალაქს მარტო ნახევარს თავისს დროს თუ უძღვნის, მეტს ვერა.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი მოუსვენარი ინტრიგანები ამის წინააღმდეგაც დაიწყებენ მთავრობის შეწუხებას და თუ მთავრობამ ნება არ მისცა ორივე ადგილი დაიკავოს, შენი მტერი, ხელ-ახლავ გაგვიხდება ვინმე კენჭის საყრელად. მაგ ფასად რიგიანს კაცს სად ვიშოვით ისეთს, რომ კარგი სახელი ჰქონდეს ქალაქში შეძენილი. თუ ეს ლეხნიცკი არ დაგვიმტკიცეს, სხვა კანდიდატი არავინა გვყავს გარდა ბ-ნ ანცოვისა, ომარხნობის დროის გადაყენებულ დამოქნის ჩინოვნიკისა.

*ძველი ფოთელი.*

—

**ჭიათურა.** შავი-ქვის საქმე მკვიდრს ნიადაგს პოულობს, რადგან ამ ერთის წლის განმავლობაში სამი ამხანაგობა შესდგა. მათ შორის უკანასკნელმა „კავკასიის შავი-ქვის მწარმოებელმა ამხანაგობამ“ ამ დღეებში დაამთავრა საქმე ფრანსუა სოლელიაკის მეთაურობით ევროპაში და ამ დღეებშივე მოქმედებას დაიწყებს, მიიღებს ქვას როგორც თავის წევრთაგან (120-ზედ მეტია), ისე გარეშე პირთაგან მიტანილს.

რა-კი ეს ამხანაგობა შესდგა, რომელსაც დიდი ძალა აქვს კაპიტალით, აწი იმედია ქვის ფასი თან-და თან აიწევს და ისე მუქთად ვერ ჩაიგდებენ ხელში უცხოელები, როგორც დღემდე ხდებოდა. ბევრს საზღვარს გარეთ გამსყიდველს მიეცა შიში ამ ამხანაგობის დაარსებით, რადგან იციან, რომ ქვას აწი ისე მუქთად ვერა ჩაიგდებენ ხელში, როგორც აქამდე ყიდულობდენ და ფასი ახლავე 1/2 კაპ. აიწიეს. დაარსებული სამი ამხანაგობა „Синдикатъ“, „Союзъ“ და „Кавказское морганце-промышленное товарищество“ ნ. ლოლობერიძის შამოერთებით რომ საზღვარ-გარეთ ქვის გასყიდვაში ერთად იმოქმედებდნენ, მაშინ ამათ წვრილად გამყიდველნი ვერაფერს დააკლებენ, რადგან ესენი შეადგენენ 3/4 მეტს ძალის შავ-ქვაში. ბოქაულმა არდიშვილმა ჭიათურა (თუ შეიძლება ასე ითქვას) მონათლა. ქუჩები განაკარგა, წყარო ქვით-კირით ამოაშენებინა, ბაზარი გაამშვენიერა, ფარნები აყიდვინა და სხვა-და სხვა. მაგრამ რამდენადაც ბაზრის საქმე მოეწყო, იმდენად უკან-უკან მიდის ჭიათურის რკინის გზის მდგომარეობა, თუმცა ამ უკანასკნელს პატრონად და მზრუნველად კავკასიის რკინის გზის გამგეობა ჰყავს, რომელსაც შემოსავალიც ბევრი აქვს აქედგან და სხვა საშუალებაც. წარმოიდგინეთ შორაპანში მგზავრთათვის თავშესაფარიც-კი არ არის, ავდრიანს დროში გარედ არ დარჩეს. დღემდის ნება ჰქონდა მგზავრს, რომელი მატარებლითაც უნდოდა, წავიდოდა, ეხლა-კი ესეც მოსპეს და მიმოსვლა დღეში ოთხჯერ დანიშნეს. ისე კი რომ ჭიათურიდგან წამსვლელი მგზავრი ვერც ერთს რკინის გზის მატარებელს ვერ მიუსწრებს დღისით! ვაგონები თავდახურულია (სახალხო) ზოგიერთი, მაგრამ სულ ერთია, აქეთ-იქიდგან თოვლი და წვიმა მაინც გაამებს და გასიამოვნებს. კიდევ კარგი, თუ ალაგი იშოვე დასაჯდომი და ფეხზედ არ მოგიხდა დგომა. ვთქვათ, ჭიათურაში აიღეთ ბილეთი და გულდამშვიდებული ჰზიხართ ვაგონში; ჩამოიარს ვინმე მოსამსახურე რკინის გზისა და ერთს ვაი-უშველებელს დაგახწევს... გეუბნება, ეს ბილეთი შენ ბოლოს მიგიღია და არა პირველადაო,—შენი ადგილი აი, იქ რომ თავლა ვაგონია, იქ არისო, თითქოს ყველასაგან ერთს ფასს არ იღებდნენ და ან კლასებად იყოს დაყოფილი. ზამთარში ამ რიგად სიცივე აწუხებს მგზავრს და ზაფხულში შავის-ქვის მტვერი.

ამდენ საყვედურებთან არ შემიძლიან სიხარულით არ მივეგებო ამ დღეებში მოსულს ნება-რთვას, კერძო დეპეშების მიღების შესახებ, მით უმეტეს გვეჭირვება ეს, რომ ფოსტა არა გვაქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პოლიციის ფოსტას, რომელიც გამოგზავნილს წერილებს და ჟურნალ-გაზეთებს მთელს თვეს და თვე ნახევარს გაათევინებს ხოლმე კანცელარიაში და შემდეგ შეიძლება პატრონიც ეღირსოს მიღებას, თუ ყველა არ დაკარგეს. ნეტა, როდის ვეღირსებით რიგიანის ფოსტის დაარსებას? ბევრსა ჰსურს ჟურნალ-გაზეთების გა-

მოწერა, მაგრამ ამ დაბრკოლებით ვერ ისრულებენ წადილს. ერთი სასიხარულო ამბავიც.

ქიათურის განათლებული ახალგაზდები ბ-ნ კიკვაძის მეთაურობით აპირებენ წიგნთ-საცავი და სამკითხველო დააარსონ; ეჭვი არაა, დიდს სარგებლობას მოუტანს აქაურს საზოგადოებას ეს დაწესებულება. ვისურვებთ, რომ რაც შეიძლება მალე განხორციელდეს ეს კეთილი აზრი და მათი ხმა არ დარჩეს „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ვალიკო ბერიძე.

## ნაწყვეტი.

ქალწული ვიყავ, ქვეყანა
სამოთხედ მეჩვენებოდა,
ვყვაოდი ველის ვარდივით,
ვინცა მნახვიდის—დნებოდა,
მე სხვა მიყვარდა, სხვას მიმცეს,
ვჰკნებოდი, სული მხდებოდა
და მომაკვდავსაც ისევ ის
მიყვარდა, მენატრებოდა!..

დ. მაჩხანელი.

## კავკასიის საექიმო საზოგადოების კრება.

16-ს მარტს კრებაზედ წაკითხულ იქნა წერილი ექიმ იაშვილისა, რომელსაც შეეკრიბნა ხალხური წამლები და გამოეგზავნა საზოგადოებისთვის გამოსარკვევად. ეს წერილი გაუსინჯავს კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოებას და უმეტესი გამოეცნო, ხოლო ოთხი საშუალება დარჩენოდა გამოურკვეველი კრებას. დაადგინა დამატებასავითი დაბეჭდვა ამ წერილისა ფარმაცევტთა საზოგადოების ახსნით და აგრეთვე იმ სახელებისავე დასტამბვა, რომელიც აუხსნელი დარჩა.

ამ საღამოს უმთავრესი ყურადღება მიიქცია ურაზოვის მიერ წაკითხულმა პროექტმა:

1) „გარემოებანი მეძავ დედაკაცთა შესახებ თვალ-ყურის გდებისა ქალ. ერევანში და საჭირო საშუალებანი საზოგადოდ მეძავთა თვალყურის გდებისა.“ რეფერატი ორ ნაწილად განიყოფებოდა, პირველს ნაწილში იყო დახატული საზარელი სურათი მეძავ დედაკაცთა, რომელსაც ჯეროვანად თვალ-ყურს არ უგდებენ ბევრს ქალაქებში და კერძოდ ქ. ერევანში, და ამ მიზეზით საშინლად ვრცელდება ვენერიული ავადმყოფობანიო. მოიყვანა მაგალითები: ჩემს დიდის ხნის იქ ყოფნაში ერთი არ მინახავს ამ „საზიზღარ მოვაჭრეთაგან“, რომ ვენერიული ავადმყოფობა მაინც არა სჭირებოდაო. მეორე ნაწილში იყო განხილული ის საშუალებანი, რომელნიც მთავრობისაგან და სამოქალაქო სამმართველოთაგან იყო მიღებული მეძავთა რიცხვის შესამცირებლად. აქ ექიმმა თავისს მხრივ ზოგიერთის ღონისძიების შეცვლა განუცხადა. მეძავი ვენერიულ ავადმყოფობისაგან რომ რჩება, ნება აღარა აქვს მეძავობა ხელ-ახლად დაიწყოსო ახლანდელის კანონის ძალითა, და ამისათვის ის ჩუმად იწყებს მეძავობას ისეთს მივარდნილს ადგილებში, სადაც პოლიცია ველარას უგებს და გვიავადმყოფებს ხალხსაო. საჭიროა ამაზედ ვიზრუნოთ, დავაწესოთ რამე მათთვისაო. კრებამ ამ რეფერატზედ ორი საათი მეტი ილაპარაკა და გარდასწყვიტა თავისს ჟურნალში დაბეჭდვა.

## ქართველები და ქართული „თავადობა“ *).

გავლესოთ, ძმებო, ნამგალი,
პური შეგვქმნია სამკალი,
ჯერ ჰპოპუმ დავაგუგუნოთ
და მერე ჰარი-არალი.

აკაკი.

„და წარემართა საქართველო და იწყო მცხეთამან თავადობა ყოველსა კავკასიასა შინა“... დიაღ, იწყო „თავადობა“ მცხეთამ, ქართველის უწმინდეს აკვანმა. წმ. მცხეთის „თავადობა“ დაადგინა მეფე აზომ (323 წელს ქრ. უწინარეს) და ეს „თავადობა“ შემდეგში (453 წელს ქრის. აქეთ) იტვირთა ტფილისმა.

მცხეთისა და ტფილისის „თავადობა“ ეპყრა ძლიერს მარჯვენას. თუ არა ეს ძლიერი მარჯვენა, იგი თავადობაცა და მასთან თვით მცხეთაცა და ტფილისიც აღიგვებოდნენ პირისაგან ქვეყანისა. ვითარცა აღბარგებულ ზღვის დიდ-დიდი ტალღები და ზვირთნი გამოექანებიან ხოლმე მცირე ხომალდის ჩასაყლაპავად, სწორედ ისრე მოდიოდნენ ბაყბაყ-დევნი საქართველოს გასაქრობად. მაგრამ ამ დევებმა საქართველოს კერიაზედ ანთებული ცეცხლი ვერ ჩააქრეს. ვერ ჩააქრეს როდის? იმ დრო-ჟამს, როდესაც ბაბილონმა ჩაყლაპა ნინევია, სპარსეთმა ბაბილონი, მაკედონიამ სპარსეთი, პართიამ და ანტიოქიამ მაკედონია, არაბეთმა პართია და ანტიოქია, ოსმალეთმა არაბეთი, ბიზანტია და სომხეთი, მონგოლებმა ნახევარი მსოფლიო! ყველა ამ დევ-ვეშაპებმა ვერ შე[...]სრეს მხოლოდ საქართველოს „თავადობა“.

სხვა საქრთველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?
ერი გულადი, შურადი, მებრძოლი შავის ბედისა?
შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ადამანტისა,—
იგივ მზე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა.

ასრე იყო 1800 წლამდის. ამ წელიწადს... ჩვენი „თავადობა“ ჩვენი თავისუფლება ჩავაბარეთ დიდს ხელმწიფეს, რომელმაც კეთილ-ინება და 12 სეკდემბერს 1801 წელს აღგვითქვა: „ხმამან საქართველოისა ერისამან მოგვზიდნეს ჩვენ არა დავუტეოთ და არა მივცეთ მსხვერპლად განსაცდელისა ენა ერთმორწმუნეთა, მომცემელთა სჯულისა თვისისა დიდსულისა რუსეთის საფარველისადმი“. თვით „მოსკოვის უწყებანიც“ (იხ. № 2 1894 წლ.) ღაღადებენ: „ქართველებს დაუცავთ ყოველნი მიმზიდველნი თვისებანი თვისის ისტორიულის პიროვნებისა: ღრმა სარწმუნოებრივი სიყვარული, შეურყეველი სიტრფიალე ეკკლესიისა, ქველობით აღსავსე ერთგულება თვისის ნებით აღრჩეულ ხელმწიფისა, ძმური ნდობა ერთმორწმუნე რუსეთისა, რომელსაც ჩააბარეს თვისი სვე-ბედი, დაიმედებულნი, რომ მათი ხალხოსნობა დაცულ იქნება და ჭეშმარიტადაც დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ამ ხალხოსნობას არა დაუშავდება-რა“.

ეს, რასაკვირველია კარგია, რომ მოსკოვის გაზეთიც-კი ასე სჯის ქართველთა ეროვნულ უფლებათა შესახებ. მხოლოდ ჩვენ კვლავ უნდა ვიშრომოთ, „ვითავადოთ“, რათა უაღრესად გავამდიდროთ ჩვენი, ისეც მდიდარი, ენა, და ჩვენი ხალხოსნობა შევმოსოთ სიქველე-სათნოებითა და დავადგათ მას გვირგვინი ახალის დროის განათლებისა და შარავანდედობისა. რაოდენადაც ცალკეობა და კერძოობა დამღუპველია ქვეყნისა, იმოდენად ერთობა, სიყვარული და მშვიდობის-მყოფელობა სიმტკიცისა და კეთილ-გონიერების მომასწავებელია, ვინაიდგან მხოლოდ „სიმართლემან და მშვიდობამან ამბორს-უყვეს ურთი-ერთს“.

გიორგიძე.

*) „თავადი“ წარმოსდგა სიტყვიდან თავი თავ-კაცობისა, მეთაურობისა ანუ თავოსნობის გამო. თავადი არის იგივე ლათინური princeps-ი, მოთავე, მოწინავე, მესვეური. დღევანდელს წერილში „თავადობით“ ვგულისხმობ ქართველ გვარ-ტომის princeps-ობას კავკასიაში.

## მცირე შენიშვნა.

პოდოლის გუბერნიის ხუთს სოფელში გაუმართავს იქაურს გუბერნატორს სასოფლო მაღაზიები და როგორც თითონ გუბერნატორი იუწყება, ამ მაღაზიებს დაუძლევიათ თურმე კერძო მაღაზიებისათვის *). ეს ფაქტი ცხადად ამტკიცებს, რომ შემცდარია იმათი აზრი, რომელნიც ჰფიქრობენ, ვითომ სასოფლო მაღაზია ბრძოლას ვერ გაუწევს კერძო მაღაზიებსაო. გუბერნატორი სამგვარს მნიშვნელობას აწერს ამგვარ მაღაზიებს: 1) ხალხი განთავისუფლდება კერძო ვაჭრების ხელისაგან, 2) მისი მოთხოვნილება მოიმატებსო და 3) შესაძლებელი იქნება მაღაზიის მოგების ნაწილიდგან თვით მაღაზიებში სამკითხველოები დაარსდესო.

ჩვენ არ შეგვიძლიან დავეთანხმოთ პირველს ორს აზრს. ჩვენის ფიქრით, ხალხის ეკონომიური განთავისუფლება ასეთის მცირე ზომებით არ შეიძლება. მოთხოვნილება-კი ზოგი მართალია, მოიმატებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ზოგი მოიკლებს. შეიძლება გლეხმა უკეთესი ტანისამოსი ჩაიცვას, მაგრამ უარესს საჭმელს დაადგეს. საზოგადოდ, გლეხის ოჯახის ეკონომიური მდგომარეობა მოგვაგონებს ჩვენ კრილოვის ტრიშკინის კაბას: ერთი მოთხოვნილება ჩნდება მით, რომ მეორე ჰქრება.

საზოგადოდ, დიდი იმედები არ უნდა ვიქონიოთ, ეკონომიურის მხრივ, ამგვარ რამეებზედ, მხოლოდ ოპტიმიზმს, უმეცრებისაგან გმაოწვეულს, შეუძლიან ახლა იფიქროს, რომ სასოფლო მაღაზიები, დეპოები, მოკლე-ვადიანი სესხი,-თუ გინდ იაფიც იყოს—, რკინის გზები, ვაჭრობა შეჰქმნის ხალხის კეთილ დღეობასო. ერთად-ერთი გამოსადეგი ხალხისათვის მრეწველობა, ფაბრიკებია, მაგრამ ბევრი ჩაილურის წყალი ჩაივლის, სანამ ჩვენ ფაბრიკებს ველირსებოდეთ, მანამდის-კი ეს ვაჭრობა ჩვენ თან-და-თან უფრო გაგვაღარიბებს. მართალია, თუ ვაჭრობა არ გვექნა, მაშინ კიდევ უმალ გავკოტრდებით, სხვა არ იყოს-რა, სახელმწიფო გადასახადს საიდგან გადვიხდით? მაგრამ ვაჭრობა, გვაძლევს რა დროებით საშუალებას, თან-და-თან თვითონ გვითრევს მორევში, გვიგდებს ხელში, სანამ ბოლოს სულ ტყავს არ გაგვაძრობს და არ გაგვაკოტრებს.

მაშასადამე, ვაჭრობას მხოლოდ გადადება შეუძლია ჩვენის აღსასრულის დღისა. ამასვე გვიზამს ინტენსიკური მეურნეობა. შემდეგ, როცა იქნება, ვეცდები ფაქტებით დავამტკიცო ეს. ახლა-კი, თუმცა, ვიცი, ამის გაგონებაზე ბევრი იტკვლიცავს თავში ხელს, ისე ღვიარებ ამ აზრს, ზოგიერთების ფიქრით, ერეტიკულს.

მაშ რა არის ჩვენი მოვალეობა ამის შემდეგ? პასუხი: ბრძოლა იმ სტიქიონურ მოვლენასთან, რომელიც ძირს სცემს ხალხის კეთილდღეობას. ბრძოლა ცნობიერი, შეერთებულის ძალით.

აქვე უნდა ვსთქვა, რომ ეს შეერთება ზოგიერთებს ერთობ თავისებურად ესმით. ავიღოთ, მაგალითად, ბ-ნი გ. წერეთელი. მისის აზრით ერთობა იმაში მდგომარეობს, რომ გლეხი, თავადი და აზნაური ყველა ერთად უნდა შეერთდენ ეკონომიურ ნიადაგზეო. არც ერთს ასოციაციაში არ უნდა იყვნენ გამოკლებული თავადი და აზნაურებიო. ეს არის უბრალო კაპიტალისტური აზრი. კაპიტალიზმმა უკვე მეთვრამეტე საუკ. მოსპო ფორმალურად განსხვავება აზნაურსა და გლეხს შორის და აღიარა, რომ კაცი ყველა ერთიაო. კაპიტალიზმისათვის თავადი, აზნაური, გლეხი არ არსებობს, მისთვის არსებობს მხოლოდ ფული, ფულის პატრონი და მუშა, როგორც მწარმოებელი. კაპიტალიზმი თქვენ იმას არ დაგიდევსთ, რა წოდებას ეკუთვნოდენ თქვენი წინაპრები, არამედ ასე მოგახსენებთ: ფული გაქვთ,—მობძანდით, არა—წაბრძანდი. თუმცა ბ-ნი გ. წერეთელი „მესამე დასს“ მიაწერს ამ იდეას დანერგვას საქართველოში, მაგრამ ცდება, ცხადია, რადგან ამ საგანზედ უკვე განსვენებულს ლუარსაბ თათქარიძესაც-კი შეპარვოდა ეჭვი.

არა, ბ-ნო, ამგვარი ქადაგება ველარ დაგვაკმაყოფილებს ახლა, მეცხრამეტე საუკუნის დამლევს; შეერთება, დიაღ, საჭიროა, მაგრამ როგორი შეერთება? შეერთება მთელის საზოგადოებისა თანასწორობის საფუძველზედ, შეერთება მწარმოებრივი და ზნეობრივი. მაგრამ ამგვარს შეერთებას წინ უნდა მისდევდეს ჯერ ხალხის ცნობიერება. ცნობიერებას შეუძლიან მოიახლოოს მომავალი, ებრძოლოს სტიქიონის გავლენას, მოაწყოს ცხოვრება ხალხის სასარგებლოდ, საკეთილდღეოდ.

დღეს ნიადაგიც არის ჩვენში ამგვარის ცნობიერების გაჩენისათვის. ახალმა წესმა წარმოებისამ ძირიანად შეარყია საფუძველი ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისა. ხალხი ჰგრძნობს, რომ რაღაც ძალა ანგრევს მის წესს წარმოებისას, ცხოვრებისას, მისს ოჯახს, ჩვეულებას ჰხედავსს რომ რაღაცა მოვიდა მის თავზედ მაგრამ ამ ახალი მოვლენით გაოცებულს ანგარიში ვერ მიუცია თავისთვის, თუ რად, როგორ მოხდა ეს და სად არის, სად ამოყო მან თავი.

და ჩვენი ვალია გავუხილოთ ხალხს თვალი. სასწავლებლები, სამკითხველოები, აი, ის ორად-ორი ლამპარი, რომელიც უნდა მიუნათოთ, მიკაგებოთ გზა-დაბნეულს ხალხს, რომითაც მას უნდა დავანახვოთ გზა, ვაჩვენოთ მომავალი.

ვ. წ.

*) „კიევლიანინ № 66 1895 წელს“ა.

## რუსეთის ცხოვრება.

გამოჩენილის კომპოზიტორის რუბინშტეინის მეუღლეს ქ-ნს ვ. ა—ს 3, 000 მანეთი პენსია დაენიშნა განსვენებულის კომპოზიტორის მოღვაწეობის გამო.

8 მარტს რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის დამხმარებელ საზოგადოების კრებაზედ გაზეთ „ნოვოსტის“ სიტყვით, ს. გ. გულიშამბაროვმა წაიკითხა მოხსენება კავკასიის აქეთა მხრის მრეწველობისა და ვაჭრობის შესახებ.

ჩვენის ქვეყნის განვითარება ვაჭრობა-მრეწველობის მხრივ, მოხსენების ავტორის აზრით, ძალიან ნელის ნაბიჯით მიდის წინ. ამის მიზეზათ, ბ. გულიშამბაროვი იმ გარემოებას სთვლის, რომ გარეშე საზოგადოება აქამომდე დაშინებულია ამბებით, რომელიც გავრცელებული იყო მეორმოცე წლებში შესახებ კავკასიის მკვიდრთა ავაზაკობისა, ძარცვა-გლეჯისა და სხვ.

ამას შემდეგ ბ. გულიშამბაროვი შეეხო იმას, თუ ვინ არის მრეწველი კავკასიაში და რა მონაწილეობას იღებს მთავრობა ამ მრეწველობაში. უმეტესი ნაწილი მრეწველთა შორის უცხოელნი არიან; ადგილობრივი მცხოვრებნი და რუსები თითქმის არავითარს მონაწილეობას არ იღებენო. ამ უცხოელებმა ბევრი რამ გააკეთეს, მაგრამ ბევრი კიდევ დარჩა გასაკეთებელიო. ამ მოხსენებამ დიდი ზედგავლენა იქონია დამსწრე საზოგადოებაზედ, რომელმაც სთხოვა რეფერანტს, კიდევ მოეხსენებინა რამე ამ მოკლე ხანში შესახებ კავკასიის მრეწველობისა. ვიმედოვნებთ, რომ ამ მეორე მოხსენებაში ბ-ნი გულიშამბაროვი უფრო ღრმად ჩაუკვირდება იმ მიზეზებს, რომელიც ჩვენის ქვეყნის მრეწველობის განვითარებას აფერხებს.

## უცხოეთი

რუსეთის სასახლის წინაშე ახლად დანიშნული გერმანის ელჩი გუგო ლეშიჩი, თავადი რადოლინი, დაიბადა 1841 წ. 1 აპრილს. მამა ამისი გრაფი რადოლინ-რადოლინსკი 1879 წ. გარდაიცვალა. რადოლინები სარწმუნოებით კათოლიკენი არიან და პოლონეთის ძველს აზნაურებს ეკუთვნიან, მაგრამ ისინი სრულიადაც არ არიან მიმდევარნი პოლონელთა ტრადიციებისა და არ ჰფიქრობენ პოლონელთა მიმართულებასა და აზრს ემსახურონ. პოლონელებს ზემოხსენებული თავადი რადოლინი კიდევაცა სძულთ და „zdraïca“-ს (მოღალატეს) ეძახიან, რადგანაც გერმანიის მთავრობას ერთგულად ემსახურება. ახლად დანიშნული გერმანიის ელჩი ძლიერ შეძლებულია. აქვს დიდი მამული იარონიჩის ახლო, ითვლება პრუსიის კეთილშობილთა პარლამენტის მემკვიდრე წევრად, კამერგერად და საპატიო კარის კაცად. იმპერატორი ფრიდრიჰ III-ს ახლო მეგობრად ჰყავნდა მიღებული რადოლინი და თავადობაც დაუმტკიცა. ბრწყინვალე თავადი რადოლინი პირველის ქორწინებით ინგლისის სამსახურის პოლკოვნიკის ქალთან ლუსი ვიკფელდთან იყო შე-

ულლებული. 1880 წელს გარდაიცვალა ლუსი და ამ ორის წლის წინად რადოლინ-რადოლინსკიმ სილეზიის გრაფინა იოჰანნა ფონ-ოპპერსდორფზედ დაიწერა ჯვარი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მკითხველს ეხსომება, რომ 13 იანვარს უმაღლესი ბრძანება გამოიცა, რომლითაც რუსეთის მწერლობას მიეცემა ყოველს წელიწადს 50 ათასი მანეთი. სასიამოვნო შეიქნა, რომ უმაღლესმა მთავრობამ ყურადღება მიაქცია მწერლობას, წერლებს და მათ ღვაწლს სამშობლო ბედნიერებისათვის. მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთი ჟურნალებიც, რომელთაც ყველაზედ უმეტესად ფულის ყალობა გაეხარდათ და ამ უკანასკნელთა რიცხვში ჟურნალი „ნაბლიუდატელ"-იც ამოექცა. აი რა გრძნობა აუსახა გულში ამ ჟურნალს 13 ინვრის ბრძანებამ:

რუსეთის პროგრესისა და კეთილსის მომავალის იმედი, იმის ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის როგრესსისა მხოლოდ იმდენად გვქვს, რამდენად ყველა ეს ნაციონალურს ნიადაგზედ იქნება დამყარებული. სხვაფრივ გერც-კი წარმოგვიდგენია.

ამიერიდგან ლიტერატურას რაც-კი წყალობა ეწოდება უმაღლეს მთავრობისაგან—ყველა ეს მარტო რუსულს ლიტერატურას უნდა შეეხოს და არამც და არამც რუსეთში მცხოვრებს უცხო ტომისას. ამიერიდგან სიტყვა მწერალი და რუსის შთამომავალი ერთი უნდა იყოს ყველა იმისთვის, ვისაც საზოგადო სამსახური გაუხდა თავისის მოქმედების ასპარეზად.

როგორ მოგწონს, მკითხველო, „ნაბლიუდატელ"-ის ბაიათები? ამ ჟურნალს ჰგონია, რომ ერთობ დააღონა და იმედები მოუკლა „რუსეთში მცხოვრებ უცხო ტომის ლიტერატურას!" ჯერ ერთი ის, რომ რად ჰხდის ეგ რუსული ჟურნალი თავისს ამხანაგად ამ „უცხო ტომის ლიტერატურას"?..

ეგ 50 ათასი მანეთი რა ასეთი დიდი ფულია, რომ სახარბიელო იყოს მისი განაწილება მთელს იმპერიის ლიტერატორთა შორის? საქმე ფული-კი არ არის, არამედ ისა, რომ, როგორც ამას იმედოვნებდა რუსეთის ჟურნალისტების უკეთესი ნაწილი, ამ განკარგულებას სხვა უფრო მწერლობისთვის დიდმნიშვნელოვანი განკარგულება მოჰყვებოდა. აი ამ უკანასკნელ გარემოებაში რომ არ დაგვიდონ რუსულმა ჟურნალ-გაზეთებმა წილი-ჩვენ, უცხო ტომთა, აი ის იქნება დასაღონებელი და დასაფიქრებელი. მაგრამ ასეც რომ მოხდეს „ნაბლიუდატ."-ს სასიხარულოდ, ამითაც არავის გაგვიცრუვდება იმედები. დიდი ხანია, რაც ეს „უცხო ტომნი" იმედებ გაცრუებულნი ვართ, ავიღოთ მაგ. ჩვენი მხარე: შიდა რუსეთში შემოიღეს ერობა,—ნაფიცნი მსაჯულნი და ჩვენში-კი არა. ამას წინად მთელის რუსეთის ჟურნალ-გაზეთებს რაღაც ახალი ცვლილების იმედი მიეცათ და ზოგიერთმა რუსის პუბლიცისტმა, მაგალითად, სუვორინმა ერთი ყვირილი შექნა: „ეს ცვლილება არამც და არამც უცხო ტომის ხალხზედ არ გავავრცელოთო*). ამ მაგალითებიდგან ცხადად უნდა სჩანდეს, რომ „ნაბლიუდატელ"-ის სიტყვები არც არავის დააღონებს, არც არავის გააკვირვებს და არც თუ „იმედებს" გაუცრუვებს ვისმე…

—

გაზ. „Schanhaï Mercury"-ში შემდეგის შინაარსის წერილია დაბეჭდილი რუსეთისა და იაპონიის შესახებ:

რუსეთსა და ჩინეთს საიდუმლო ხელშეკრულობა აქვს შედგენილი, რომლითაც რუსეთი პირობას აძლევს ჩინეთს ჩინეთ-იაპონიის ომში ჩაერიოს, თუ რომ გარემოება ისე მოეწყობა. როგორც ამბობენ ამ ჩინეთს ხელშეკრულების იმედი აქვს, თუ რომ იაპონია მძიმე პირობების ასრულებას მოსთხოვს მას. თუ მართლა არსებობს ასეთი ხელ-შეკრულება, ეჭვს გარეშე, რომ მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ მოლაპარაკება არავითარს ნაყოფს არ მოიტანს. რუსეთის ჩარევას ჩინეთ-იაპონიის საქმეში უკანასკნელი ვერ მოითმენს. იაპონის გაზეთებს თუ დავუჯერებთ, იაპონიის მთავრობა არამც თუ არ მიიღებს არავითარს პირობას რუსეთის მხრივ, პირ-იქით ომს გამოუცხადებს. იაპონიას არ სჯერა, თუ შორეულს აღმოსავლეთში შესძლებს ვინმე ისეთი ძალა დაუყენოს მიკადოს მთავრობას, რომ ამ უკანასკნელმა თავისის გამარჯვების ნაყოფზედ უარი სთქვას. საზოგადოდ-კი იაპონიაში ერთი აზრია გავრცელებული ამ ჟამად, რომ ომიანობა რამდენადაც ეს უკანასკნელი ევროპის ინტერესებს ეხება, ეხლა აღწევს უმაღლესს წერტილს თავისის განვითარებისასო.

## უცხოეთის წვრილი ამბები.

—

იაპონელები არც თუ მრეწველობასა და ვაჭრობაში იმარჯვებენ ნაკლებად. დიდი ხანი არ არის, რაც სინგაპურიდგან იტყობინებოდნენ, რომ იაპონიის საქონელმა და ვაჭრობამ მალიან შეავიწროვა ინგლისის საქონლით ვაჭრობაო. ახლა ბანგკოკში მყოფი გერმანიის ელჩი იუწყება, რომ ამ უკანასკნელს წელს სრულიად აღარავინ უიდულობს ევროპას წუმწუმას და ყველანი იაპონიისას თხოულობენო. იაპონიიდგან დღითი დღე მეტი და მეტი ბამბეულობის ნაწარმოები გადმოაქვთ და ამ მხრივ ყოველ-გვარს კონკურენციასა ჰკსპობსო. გარდა ამისა, სიამის სჯვარო სავაჭროები თითქმის სავსებით სავსეა იაპონურ ქოლგებითა, სალფეტკებითა, იაფ ფასიან ჩულქებითა, თეთრეულებითა, შუშეულობითა და ლამპრებითაო. ამ მოკლე ხანში გერმანიდგან სიამში მრავალი ლამპარი გაიგზავნა, მაგრამ აღარავინ უიდულობს თურმე.

—

თუ რა ძალი ხალხი მივა ფრიდრიჭსრუეში თავ. ბისმარკის 80 წლის შესრულების დღის დღესასწაულზედ დასაწრებლად, იქიდგან შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მარტო 35 საგანგებო ორთქლით მატარებელია წამსვლელთათვის შეკვეთილი ჰამბურგში.

*) სუვორინს ამ შემთხვევაში სწორედ ერთის ქართულის ანდაზის ამბავი დაემართა: „ეშმაკები რუმბებს ჰბერავდნენ და ღვინო-კი არსად იყოო".

## წერილები რედაქციის იმართ.

—

შაბათს საღამოზედ, ოთხს მარტს, მივედით სასულიერო სასწავლებლის ეკკლესიაში მე და ჩემი ბიძაშვილი ყორღანოვი პირჯვრის დასაწერად. დაგვიხვდა კარებში ერთი სალდათი და უზრდელად გვითხრა: არ შეიძლება ეკკლესიაში შემოსვლაო, რადგანაც ქართველები ხართო და ლოგვიკეტა ეკკლესიის კარები. რაღა გაეწყობოდა დავბრუნდით დაღონებულნი; იქვე მეზობელს ვკითხეთ, ეს რა უბედურებაა ქართველს კაცს განა, ეკკლესიაშიც აღარ შეესვლება მეთქი! ჩავიდა ის კაციც და ასეთი პასუხი მოგვიტანა,—უფროსისაგან მაქვს ნაბრძანები, რომ ქართულად ჩაცმული კაცი ეკკლესიაში არ შემოუშვაო.

იმედი მაქვს ამ შემთხვევას ჩემის მხრით დაფასება აღარ სჭირია.

თავადი ესტატე ნიკოლოზის ძე თარხან-მოურავი.

—

გაუწყებ თქვენის პატივცემულ გაზეთ „ივერიის" შემწეობით, რათა აღარავინ სთარგმნოს სახელდო წიგნები: Дурная болѣзнь или сифилисъ,—შედგენილი ექიმ-ქალის ტრუტკოვსკაია-ს მიერ და აგრეთვე წიგნი: „Сохраненіе здоровія, или общая гигіена въ примѣненіи къ обыденной жизни",—შედგენილი დოქტორ ეიდამის მიერ. პირველი წიგნი უკვე ვსთარგმნე, ხოლო მეორეს ახლა-ხან შევუდექი.

სევ- ჯუღელი.

## სიტყვა

თქმული 16 მარტს მცხეთის ტაძარში ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა მარშლის თავადის დავით ნიჟარაძისაგან.

თავადო ივანე! მოისმა-რა ხმა შენის ამიერ სოფლით გარდაცვალებისა, შვილნი იმიერ საქართველოისა იგლოვენ და მწარის ცრემლით სტირიან შენს დაკარგვას. მოიგონებენ-რა ივანე ბაგრატიონ-მუხრან-ბატონს, კაცს შთამომავალს საქართველოის ერთის უძველესის დიდებულის გვარისას, ნაღვლიანის გულით იგონებენ მრავალს, დიდებულს შენს პირად ღირსებაებს და იმ სამსახურს, რომელიც შენ გაუწიე იმიერ საქართველოს ისე, როგორც მხნე და მამაცმა სარდალმა ომებში და, როგორც მართალმა ადმინისტრატორმა, შენის სხვა-და-სხვა ადმინისტრატიულ დაწესებულებებში სამსახურის დროს იმიერ საქართველოში. ძეგლი შენის ხსოვნისა დიდის ხნიდგან აგებულია იმიერ საქართველოში, რომელსაც საფუძვლად უძევს სისხლი დანთხეული და ვაჟკაცური მხნე სახელი მოხვეჭილი იმერთა თავად-აზნაურობისაგან შენის სარდლობის ქვეშ, ოსმალოს რუსეთთან ომის დროს 1853 და 1854 წლებში. იგივე ძეგლი გამშვენებულია შენისვე მხნე და ვაჟკაცურის სარდლობით 4 ივნისს 1854 წ. მდინარე ჩოლოკზედ იერიშის დროს, სადაც თუმცა ბევრი დიდებული იმიერ ქართველთა თავადაზნაური მამულისა და სარწმუნოების დასაცველად მოსწყდა, მაგრამ უმრავლესობამ ჩვეულებრივის ქართველურის ვაჟკაცობით მტერი უკუ აქციეს და მამაპაპური სახელი დაიჭირეს. იგივე ძეგლი გამშვენებულია იმ შენის ვაჟკაცურისა და მხნე სარდლობით, რომელიც გამოიჩინე ოსმალოს ჯარის შემოსევის დროს ომარ-ფაშის სარდლობით, რომელმაც გარდმოვლო სამეგრელო, გამოვიდა ცხენის წყალზედ და მოიპირდაპირა ქუთაისს, მცხოვრებლებს ექადდნენ გაჟლეტას და მათს სახლ-კარს ცეცხლით მოწვას, მაშინ შენ ერთის მუჭა ჯარით, რომელსაც განამშვენებდნენ იმიერ საქართველოს თავად-აზნაურთა რაზმი, გუნდი, გასაოცარის ვაჟკაცობით მტერი უკუ აქციე; მცხოვრებლები და მათი საცხოვრებელი დაშთნენ მტერთაგან შეუხებლად.

ხსოვნა შენი უკვდავი იქნება იმიერ საქართველოში, როგორც კარგის მემამულისა,და სამაგალითო მეურნისა, რომელმაც ჩვენის მიწის მდიდარი ბუნება შენის ნაწარმოებით გააცანო ბევრს უცხო ქვეყანას. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ნეტარხსენებულო ივანე!

წიგნი სიბრძნე-სიცრუისა: ქართულის ზღაპრების წიგნი მეთვრამეტე საუკუნისა, სულხან-საბა-ორბელიანისა. გადათარგმნილი შენიშვნებით ოლივერ ვარდროპის მიერ.

ბ-ნ ვარდროპმა, როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა, ქართულიდგან გადათარგმნა «წიგნი სიბრძნე-სიცრუისა», თხზულება სულხან-საბა ორბელიანისა. ამ წიგნის შესახებ აი რასა სწერს ჟურნალი „Athenaeum"-ი 16 თებერვლის ამა წლის № ში.

ქართული ზღაპრები ბ-ნ ვარდროპის მიერ მშვენიერად გამოცემულია. ეს პირველი თარგმანია ამ საკვირველის წიგნისა მათ შორის, რომელიც-კი ყოფილა ოდესმე რომელსამე აღმოსავლეთის ენაზედ დაბეჭდილი, რამდენისამე ზღაპრის გარდა, რომლებიც გადათარგმნილია ფრანგულად. ეს წიგნი ძალიან ძვირფასია ფოლკლორისტებისათვის. ამ ზღაპრების აზრი ჰგავს „Hitopadesa" კრებულის ზღაპრებისასა და არაკებისას.

სიბრძნე-სიცრუის წიგნში ბევრი მომქმედნი არიან გამოყვანილნი, ხოლო თავი და თავი აღმზრდელია ხელმწიფის ახალგაზდა შვილის ჯუმბერისა. რადგანაც ამ საუცხოვო წიგნის ავტორს, სულხან-საბა-ორბელიანს, ძალიან ცოტას იცნობენ აღმოსავლეთს ევროპაში, ამიტომ საყურადღებოა რამდენიმე ცნობა გავუზიაროთ მკითხველებს იმის ბიოგრაფიიდგან. ის დაიბადა 1655 წ. ან 1658 წ.და გარდაიცვალა 1725 წ., ნამდვილი წელიწადი-კი იმის გარდაცვალებისა არ იციან. ყველაზედ უფრო საყურადღებო გარემოება იმისს სიცოცხლეში ის არის, რომ იგი გაგზავნილი იყო საქართველოს მეფის ვახტანგის მიერ ლუი XIV-თან ელჩად. გზად იმან გაიცნო აღმოსავლეთი და იმისი ლიტერატურა და, როგორც ამბობენ, კათოლიკეთა სარწმუნოება მიიღო.

კათოლიკეთა მისიონერები საქართველოში, როგორც აგვიწერს შარდენი, ბევრნი ყოფილან. ესენი არიან პირველნი, რომელთაც ქართული ენა გამოაქვეყნეს და განაცხადეს, რომ ამ ენაზედ ღვთის-მეტყველების ქადაგება შესაძლებელიაო. (იხ. გრამატიკა Maggi-სა, დაბეჭდილი რომში 1643 წ.). მაგრამ მამა საქართველოს ფილოლოგიისა ევროპაში ბროსე იყო. იმან დაიწყო ბეჭდვა 1827 წ. „Journal Asiatique"-ში. იმ ჟურნალში დაბეჭდილი იყო წერილი ვახტანგ მეფისა ლუი XIV-სთან, 1884 წ. ტფილისში დაიბეჭდა სულხან-საბა-ორბელიანის ლექსიკონი, ხელთნაწერად დარჩენილი. ლექსიკონს დართული აქვს სურათი ორბელიანისა, რომელსაც გრძელი სამღვდელო კაბა აცვია, სახე დინჯი და წყნარი აქვს და გრძელი, თეთრი წვერი უმშვენებს ამ სახეს. სათაური ორბელიანის სიბრძნე-სიცრუისა შეიცავს სასიამოვნო აღმოსავლეთურს ოხუნჯობასა და ავტორი ცრუ იგავებითა და არაკებით ბრძნულს აზრებს გვინერგავს, ჭეშმარიტების გზაზედ წარმართავს მკითხველს.

თუ თვალ-ყურს ადევნებთ ამ წიგნში მოქცეულს არაკების შინაარსს, ჰნახავთ, რომ იგი განსხვავებულის ხასიათის არაკებია, ზოგან აღმოსავლეთურის გამჭრიახობით შემკული. ფოლკლორისტი დიდის სიამოვნებით ჰნახავს, რომ ზოგი აღმოსავლეთის კარგად ცნობილი ზღაპრები განმეორებულია. ზოგიერთს ადგილას ბ-ნს ვარდროპს შენიშვნებით შეუმკია. მეფა უმთავრესს როლს ასრულებს. აღმოსავლეთის აზრს უყვარს იარაღად ხერხისა და ცბიერების ხმარება, რომლის შემწეობითაც ის ხშირად იხსნის თავს საშინელის მტრისაგან. ეს არასასიამოვნო თვისება იმათის ხასიათის დესპოტიზმის შედეგია და მართლაც ყველგან შიშსა ჰნახავთ მეფეთა წინაშე. საზოგადოდ ენა მშვენიერია, სპარსულის სტილისაა და ზღაპართა უმეტესობა სპარსულისაგან უნდა იყოს აღებული. უნდა გავიხსენოთ, რომ ორბელიანი თანაშემწე იყო მეფე ვახტანგ VI-ისა, ეხმარებოდა „ანვარ-ისუჰაილი"-ს თარგმანში, რომელიც დაბეჭდილია ხელთ-ნაწერიდგან ტფილისს, 1886 წ. ზოგი-ერთი ზღაპრებაბი-კი ევროპიულია და ზოგიერთ ეზოპისასა ჰგავს.

ზღაპრების გარდა ჩვენ გვაქვს კარგი კრებული ძველთა თქმულებათა და აღმოსავლეთის ანდაზათა. ამ აფორიზმებში აღმოსავლეთური ოხუნჯობა გამოსჭვირს, მაგალითებრ მე-92 ფურც. ჩვენ ვნახეთ არაბული ანდაზა, რომელიც ბურხარდტის კრებულშიაც არის მოქცეული: თუ გველს უყვარხარ, ატარე იგი როგორც ამბარჩა. (შეიძინე სიყვარული საშიშის კაცისა). ეს ანდაზა გვაგონებს ერთს იმ ზღაპარს, რომელიც დაბეჭდილია სერბიულად ვულკ სტეფანოვიჩის მიერ,—რომ ერთს კაცს ესმოდა პირუტყვებისა და ფრინველების ენაო. ზღაპრები მდევების შესახებ გულივერის მოგზაურობას ჰგავს. მხოლოდ აღსანიშნავია ისიც, რომ სვიფტის წიგნი დაიბეჭდა, დაახლოვებით რომ ვსთქვათ, ორბელიანის სიკვდილთან ერთად. ეს გარემოება რომ ნამდვილად არ ვიცოდეთ, გვეგონებოდა, რომ ორბელიანს სცნობია ეს წიგნი, როდესაც დასავლეთში ჰმოგზაურობდა, რადგან ამ წიგნის სახელი სწრაფად გავარდა ინგლისშიაცა და ინგლისს გარეშეც, შორეულს ქვეყნებში.

ბ-ნი ვარდროპი თავისს მოვალეობას ძალიან ბეჯითად, სინიდისიერად, მეცნიერულად უძღვება. ჩვენ შევადარეთ ვარდროპის წიგნს დედანი, დაბეჭდილი ტფილისში 1881 წ. და განცვიფრებული ვართ თარგმანის სისწორითა და სინამდვილით. პეტერბურგში დაბეჭდილ პროფესორ ცაგარლის კრებულში, მე-27 ფურც. ნათქვამია „ბეხი"-ბის ქვეყანა და მო-

თხრობილია ზღაპარი, რომელიც ძალიან ემსგავსება შილლერის კარგად ცნობილს „Der Gang nach dem Eisenhammer“-ის. ჩვენ «ბეხი» მიგვაჩნია „ბეხ“-ად, ე. ი. თათრებად, სერბიელებად, ჰუნგრელებად, ვენას სახელად. ეს ზღაპარი უსათუოდ მოპარული უნდა იყოს ორბელიანისაგან. მეორე ადგილას, მე-60 ფურც. პროფესორ ცაგარელისა და ბ·ნ ვარდროპს შორის ბუღდანის შესახებ კამათია აღძრული.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბეღდენ ქურთისტანელისა უნდა მოლდავველი იყოს, რომელსაც სათათრეთში უწოდებენ ყარა-ბოღდანს, რადგანაც წინანდელი ზღაპარი ვალახიელია. ეს ზღაპარი ჩვენის აზრით ერთისა და იმავე ქვეყნის შექმნილად უნდა ჩაითვალოს.

დასასრულ, იმედი გვაქვს, რომ ეს წიგნი მიიზიდავს საერთო ყურადღებას და ღირსიც არის ყურადღებისა. საუბედუროდ, ამ „édition dezlute“-ს მხოლოდ ზოგი-ერთი მკითხველი წაიკითხავს და არა მრავალი. ჩვენს შენიშვნას დავაბოლოვებთ ერთის ქართველის მიერ ორბელიანის შესახებ ნათქვამის სიტყვით. ეს სიტყვები პროფესორს ცაგარელსა აქვს მოყვანილი თავისს კრებულის დასასრულს:

საბა-სულხან ორბელის ძე (ესე იგი ორბელის შვილი)
დანავარდობს თავისის სიბრძნით არწივთა შორის“.

Inman.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

17 მარტი.

**პეტერბურგი**, 17 მარტი. მათის უდიდებულესობის მისალოცავად მოვიდნენ პეტერბურგს სხვა-და-სხვა დეპუტაციები; სხვათა შორის პეტრაკოვსკის გუბერნიიდგან ყველა წოდების წარმომადგენელნი, რომელთაც მოასვენეს ჩენსტოხის ღვთისმშობლის ხატი.

მოსალოდნელ გვირგვინის კურთხევას გამო დაარსდა სასახლის სამინისტროსთან კომისია, რომელიც შეუდგება გვირგვინის კურთხევისათვის საჭირო საქმეებს.

შეუდგნენ იმ გზის გამოკვლევას, რომელმანც უნდა შეაერთოს რკინის გზით ჩრდილოეთის კავკასია და საქართველო. გზა გაივლის ნევინუმისის სტანციას, სუხუმს და ახალ-სენაკს.

**პარიხი**, 16 მარტი. “Paulais“-ი ამბობს, რომ პატრიოტთა გუნდმა ხელახლავ იჩინა თავი, რომელსაც თავმჯდომარედ დერულედი ჰყავს.

რესპუბლიკის პრეზიდენტი მივიდა რატონეს ბანაკში და ლაშქარს, რომელიც მადაგასკარის კუნძულზედ მიდის საომრად დროშები ჩააბარა. ამ დროს პრეზიდენტმა უთხრა ლაშქარს: ნუ დაივიწყებთ, რომ ამ დროშებთან ერთად თქვენ მიგაქვთ თან საფრანგეთის იარაღის ძლიერება და საფრანგეთის სახელი. დარწმუნებული ვარ თქვენ ღირსნი შეიქნებით, რომ შეიტანოთ იმ ქვეყანას ის განათლების ლამპარი, რომელსაც გავალებსთ რესპუბლიკა. საუზმეზედ პრეზიდენტმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც სხვათა შორის სთქვა, რომ მხედრობისათვის, რომელიც იმედია და მცველი სამშობლოსი, მთავრობა მარად ჟამს ზრუნავს. ამ 25 წლის განმავლობაში ქვეყანას არც ერთხელ არ უთქვამს უარი, რომ ყოველ გვარი მსხვერპლი შეეწირა მხედრობისათვის, რომელმანც კიდეც განამართლა იმედი ქვეყნისა.

პეტერბურგის ბირჟა, 14 მარტი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | 7,43 |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 214 „ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . | 101⅝ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99½ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 101¾ |
| 5% იმავე ბანკისა . | 99½ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99¼ | — „ | — „ |

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ექიმი მ. ტურბოვიჩი. ქალი ა.** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ბ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის·

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინსა ნავასარდიანი.

(857—1468)

ამ დღეებში გამოვა გასაყიდად
თ. რაფიელ ერისთავის
**თხზულებანი**
პირველი ტომი

რომელშიაც მოთავსებულია ყველა ლექსები და არაკები; წიგნი შეიცავს 400 გვ. ავტორის პორტრეტით და ფაქსიმილეთი.

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

**კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა, ბ. მ. მირიმანიანისა,**

რომლი აგინაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(24—1819—8)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| მარიამი . . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 60 |

მეფე დავით აღმაშენებელი
და იმისი დრო
ისტორიული მონოგრაფია
ნ. ურბნელისა
ფასი ორი აბაზი

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**ვ. ი. ჭიჭინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში ისყიდება ამხანაგობის ახალი გამოცემანი:

**საშზარეულო**
ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა
მეორე გამოცემა

ახლად შევსებული და შესწორებული. შიგ მოთავსებულია ათასამდე დარიგება სხვა-და-სხვა საჭმელების მოსამზადებლად და სანოვაგის შესანახავად

ფასი მანეთ ნახევარი.

CURBAINE
УРБЭНЪ
Общество Страхованія Жизни.
Невскій пр., № 13,

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება ნაჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ველარ შესძლეს. (40—1)


## „ივერია“

1895 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50„ | 5 „ . . . | 5 „ 50„ |
| 10 „ . . . | 8 „ 75„ | . . . | 4 „ 75„ |
| 9 „ . . . | 8 „ —„ | 3 „ . . . | 3 „ 50„ |
| 8 „ . . . | 7 „ 25„ | 2 „ . . . | 2 „ 75„ |
| 7 „ . . . | 6 „ 50„ | 1 „ . . . | 1 „ 50„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესხედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ·ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.